





# რეიგანი — პრეზიდენტი სამუდამოდ

*Ronald Reagan*

## თორნიკე შარაშენიძე

რონალდ რეიგანი ამერიკის რიგით მე-40, ერთი-ერთი ყველაზე წარმატებული პრეზიდენტი (1981-1989 წწ).

რონალდ რეიგანი პრეზიდენტი, რომელიც სძულდა საბჭოთა კავშირის მთავრობას. სწორედაც რომ სძულდა, რადგან მისმა პოლიტიკამ დაასამარა საბჭოთა კავშირი. იგი დიდად არც ამერიკელ მემარცხენეებს უყვართ. რეიგანმა დახურა სოციალური პროგრამები და გაზარდა თავდაცვის ბიუჯეტი, – ჩივიან ისინი. თუმცა, გულის სიღრმეში ალბათ ის უფრო არ მოსწონთ, რომ რესპუბლიკელმა რეიგანმა გაცილებით მეტს მიაღწია, ვიდრე ცივი ომის დროს მოღვაწე დემოკრატმა პრეზიდენტებმა, რომლებმაც, ბევრი ცდის მიუხედავად, კომუნიზმს ვერაფერი დააკლეს. რეიგანის მოწინააღმდეგეები ამბობენ, რეიგანი ინტელექტუალი არ იყო, ნიგნებს არ კითხულობდაო, ხშირად საერთოდ არ აინტერესებდა მისი მთავრობა რითი იყო დაკავებულიო...

მიუხედავად ყველაფრისა, რეიგანი ამერიკაში მაინც ძალიან ბევრს უყვარს, მაგრამ კიდევ უფრო მეტად უყვართ იგი აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში (რუსეთის გარდა), იქ, სადაც მისი წყალობით განთავისუფლდნენ.

ვინ იყო ეს კაცი, რომელმაც ამდენს მიაღწია და მაინც ამდენი კრიტიკოსი ჰყავს?

## ბავშვობიდან კინომდე

რონალდ რეიგანი დაიბადა 1911 წელს ამერიკის შტატ ილინოისის პატარა ქალაქში. მისი ოჯახი ძალიან ღარიბი იყო, ხშირად დედა პატარა რონალდს ყასაბთან აგზავნიდა და აბარებდა ღვიძლი ეთხოვა „კატისათვის“. იმ დროს ამერიკაში ღვიძლს თითქმის არავინ ჭამდა და რონალდს მას უფასოდ აძლევდნენ კატისათვის, რომელიც სინამდვილეში არ არსებობდა, უბრალოდ, დედას არ უნდოდა ვინმეს გაეგო, რომ იგი ოჯახს ღვიძლს აჭმევდა (ხორცს კი ხელმოკლე ოჯახი იშვიათად ყიდულობდა). რონალდის მამა, ჯეკ რეიგანი, მუდამ შრომობდა, რომ მრავალშვილიანი ოჯახი როგორმე გამოეკვება და თან საკუთარ ალკოჰოლიზმს ებრძოდა. იგი ძირითადად კომივოიაჟერობით იყო დაკავებული (ბევრს მოგზაურობდა და სხვადასხვა საქონელს ყიდდა). შესაბამისად, ბევრ ადამიანთან უნევედა ურთიერთობა, რამაც, როგორც ჩანს, ამბების მოყოლისა და ადამიანების გაცინების ნიჭი განუვითარა. ეს ნიჭი რონალდსაც გამოჰყვა და მამის გავლენით იგი ამაში კარგადაც გაინაფა. მომავალში პოლიტიკოს რეიგანის ერთ-ერთი უდიდესი უპირატესობა სწორედ ეს იყო: მას შეეძლო ერთი ხუმრობით, ერთი ანეგდოტის მოყოლით მიემხრო აუდიტორია და დებატებიც მოეგო. როცა პრეზიდენტი გახდა, იგი ანეგდოტებს საბჭოთა კავშირზე ყვებოდა და ამით მთელ მსოფლიოს აჩვენებდა, რომ კომუნისტური იმპერია არც ისე საშიში იყო, როგორც ეს მაშინ ბევრს ეჩვენებოდა.



რონალდ რეიგანი უფროს ძმასა და მშობლებთან ერთად, 1913



კადრი ფილმიდან „კნუტ როკნე – ნამდვილი ამერიკელი“, 1940

რონალდი ბავშვობიდან თამაშობდა **ამერიკულ ფეხბურთსა** და ბეისბოლს. ბეისბოლის თამაში ძალიან უჭირდა, რის გამოც სერიოზული კომპლექსიც ჩამოუყალიბდა. მიზეზი სრულიად შემთხვევით გაირკვა ერთ დღეს, როცა რონალდმა უბრალოდ სათამაშოდ მოირგო დედის სათვალე და აღმოაჩინა, რომ საშინლად ახლომხედველი ყოფილა. თურმე, მოზარდობამდე ამერიკის მომავალი პრეზიდენტი ნახევრად სიბრმავეში იზრდებოდა იმიტომ, რომ მის გაჭირვებულ ოჯახს არასდროს უფიქრია იგი პროფილაქტიკისთვის თვალის ექიმთან მიეყვანა.



**დიდ ღვაწლსადაც** მსოფლიო ისტორიაში იწოდება მსოფლიო მასშტაბის ეკონომიკური კრიზისი, გლობალური ეკონომიკური ვარდნა, რომელიც 1929 წლიდან დაიწყო აშშ-ში, მრავალ ქვეყანაში გავრცელდა და დაახლოებით 10 წელი გაგრძელდა. ამ დროს გაკოტრდა უამრავი ბანკი, უმუშევრობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია, ეკონომიკის ზრდის ყველა პარამეტრი – მთლიანი შიდა პროდუქტი, ინდუსტრიული წარმოება, ფასები აქციათა ბაზარზე – მკვეთრად დაეცა. ამ ვარდნამ პიკს 1933 წელს მიაღწია და ეკონომიკური ზრდის მთავარი ინდიკატორები მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაუბრუნდა 1929 წლის დონეს.

ტერმინი „დიდი დეპრესია“ გულისხმობს არა მხოლოდ ეკონომიკურ მოვლენას, იგი ასევე განსაზღვრავს ერთ მთლიან კულტურულ და პოლიტიკურ პერიოდს.

ეკონომისტები, ისტორიკოსები და პოლიტიკური მეცნიერები დიდი დეპრესიის მრავალ მიზეზს ასახელებენ, მაგრამ საერთო მოსაზრებით ამის მთავარი მიზეზი ძირითადად მთავრობის მიერ მონეტარული პოლიტიკის არასწორი მართვა გახდა.

ახალგაზრდა რეიგანმა მალე დაძლია საკუთარი კომპლექსები: იგი უფრო გათამამდა ადამიანებთან ურთიერთობისას. მას ირჩევდნენ გუნდის კაპიტნად, სტუდენტთა გაერთიანების პრეზიდენტად. როცა წამოიზარდა, **მაშველად** დაიწყო მუშაობა და უამრავი ადამიანის სიცოცხლეც იხსნა. მომავალი პრეზიდენტი ვერც **დიდმა დეპრესიამ** შეაშინა: იგი, როგორც მამამისი, ბევრს მოძრაობდა და კარგ სამსახურს ეძებდა. ერთი პერიოდი მშენებლობაზე მუშაობდა, შემდეგ უფრო შესაფერის საქმიანობას მიჰყო ხელი – **სპორტული კომენტატორი** გახდა. მალე მას საკუთარმა ხმამ და არტისტულმა ნიჭმა კინოშიც გაუხსნა გზა. 1937 წელს რეიგანი ნამდვილ მსახიობად იქცა. აქედან დაიწყო მისი კარიერა კინოში.

## კინოდან პოლიტიკამდე

რამდენიმე ფილმი, ძირითადად ე.წ. ბე-კატეგორიის, ანუ მცირებიუჯეტისი და არც ისე მაღალი ხარისხის – ასე მიდიოდა თავიდან რეიგანის კარიერა ჰოლივუდში. 1942 წელს იგი წარმატებულ ფილმში გადაიღეს და გაჩნდა იმედი, რომ მალე ნამდვილი

ვარსკვლავი გახდებოდა, მაგრამ სწორედ ამ დროს გაინვიეს ფრონტზე. შეიარაღებული ძალებიდან დაბრუნების შემდეგ რეიგანი კინომსახიობთა გილდიის პრეზიდენტად აირჩიეს და აქ უკვე გამოჩნდა რეიგანი-პოლიტიკოსი. მან ჰოლივუდში დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა კომუნიზმს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კომუნიზმმა ამერიკის მრავალ სფეროში შეაღწია, განსაკუთრებით კი კინოში, სადაც ლიბერალები მოღვაწეობდნენ (მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით მათი ცდუნება კი საკმაოდ იოლი იყო). რეიგანს კომუნიზმის თაობაზე ილუზიები არასდროს ჰქონია. „კომუნისტები ის ხალხია, ვინც მარქსს და ლენინს კითხულობს, ანტიკომუნისტები კი ის ხალხია, ვისაც მარქსი და ლენინი სწორად ესმის“, – თქვა მან ერთხელ.



ჰოლივუდში გაიცნო რეიგანმა თავისი ორივე ცოლი. მეორე ცოლს, ნენსის, სწორედ კომუნიზმთან ბრძოლის წყალობით შეხვდა. როცა რეიგანი პრეზიდენტი გახდა, ნენსი ამერიკის ყველა დროის ერთ-ერთ გამორჩეულ პირველ ლედიდ იქცა.

კინო რეიგანისათვის კიდევ ერთი რამის გამო იყო მნიშვნელოვანი. იგი შევიდა ჰოლივუდური ფილმების, ვესტერნების, პერსონაჟების როლში და მალე სამყაროსაც ისე შეხვდა, როგორც ვესტერნს. მისთვის სამყაროც, ასე თუ ისე, ორ ნაწილად გაიყო – კარგად და ცუდად, კეთილად და ბოროტად. იყო რა ბავშვობიდან რელიგიური, ბოროტებასთან (მაგალითად, კომუნიზმთან) ბრძოლა რეიგანს უპირველეს ვალდებულებად მიაჩნდა. ამავე დროს, გამოვლილი ჰქონდა რა გაჭირვება და დიდი დეპრესია, მას უყვარდა კეთილი და უბრალო ადამიანები, მათ ენდობოდა და ყოველთვის გვერდში ედგა. ალბათ, ამან განაპ-





რონალდ და  
ნენსი რეიგანები  
შვილებთან ერთად

ირობა მისი მმართველობის სტილიც. იგი თანამდებობებს წესიერ ადამიანებს აბარებდა, მათ დავალებებს აძლევდა და შემდეგ თითქმის ყველაფერს ანდობდა.

მალე ცხადი გახდა, რომ რეიგანის ორატორული ნიჭისა და ქარიზმისათვის ჰოლივუდი საუკეთესო ადგილი არ იყო. მომავალი პრეზიდენტი სულ უფრო მეტად ერთვებოდა პოლიტიკაში და სულ უფრო მეტად იხრებოდა რესპუბლიკელებისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ რეიგანი ლამის ბავშვობიდან უჭერდა მხარს დემოკრატებს, ახლა იგი რწმუნდებოდა, რომ მის ფასეულობებსა და მისწრაფებებს რესპუბლიკური პარტია უფრო პასუხობდა:

რეიგანს მიაჩნდა, რომ საჭირო იყო მთავრობისა და ბიუროკრატის შეზღუდვა და მოქალაქეებისათვის მეტი გასაქანის მიცემა, მას მიაჩნდა, რომ ცივ ომში ამერიკას საბჭოთა კავშირისაგან საფრთხე ემუქრებოდა და ამ საფრთხისგან ქვეყანას უფრო მეტად რესპუბლიკელები დაიცავდნენ.

60-იანი წლებიდან მოყოლებული რეიგანი პოლიტიკაში აქტიურად ჩაერთო. 1966 წელს კი იგი კალიფორნიის გუბერნატორად აირჩიეს.

**პრეზიდენტი**





რონალდ და ნენსი რეიგანები, 1981



რეიგანის პოლიტიკამ – დაბალი გადასახადები, ნაკლები სოციალური პროგრამები და მეტი გასაქანი კერძო ინიციატივას – კალიფორნიაში გაამართლა. იგი ორი ვადის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამერიკის ამ უმდიდრეს შტატს, 1976 წელს კი უკვე საპრეზიდენტო კამპანიაში ჩაერთო. აქ იგი რესპუბლიკელთა მეორე კანდიდატთან, მოქმედ პრეზიდენტ ჯერალდ ფორდთან დამარცხდა პრაიმერიში. სამაგიეროდ, 1980 წელს მან ჯერ **პრაიმერიში** გაიმარჯვა, შემდეგ კი საკმაოდ იოლად სძლია დემოკრატთა კანდიდატს, პრეზიდენტ ჯიმი კარტერს.

1980 წელი ამერიკისათვის ერთ-ერთი ურთულესი წელი იყო. ქვეყანას ჯერ კიდევ მწარედ ახსოვდა ვიეტნამში განცდილი მარცხი, როცა მან მეორე მარცხი განიცადა – 1979 წელს ირანში მოხდა ისლამისტური რევოლუცია და ამერიკის საელჩოს თანამშრომლები მძევლად აიყვანეს. ამასობაში კი საბჭოთა კავშირი (რომლის შეიარაღებული ძალები და პოლიტიკური გავლენა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა) ავღანეთში შეიჭრა. ამერიკაში არც ისე ცოტა ადამიანი ფიქრობდა, რომ ცივ ომში შეიძლებოდა გაემარჯვა საბჭოთა კავშირს.

რეიგანს სთავაზობდნენ გაეგრძელებინა წინამორბედების კურსი: ჩართულიყო საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებებში, მოეწერა ხელი მათთან ახალ შეთანხმებაზე ბირთვული შეიარაღების შემცირების თაობაზე... მოკლედ, საბჭოთა კავშირი მიელო, როგორც რეალობა, რომლისთვისაც ანგარიში უნდა გაენია. მაგრამ რეიგანი სულ სხვაგვარად ფიქრობდა. იგი



რონალდ რეიგანი და მიხაილ გორბაჩოვი, 1987

აცნობიერებდა ფაქტს, რომ ბოლო პერიოდში საბჭოთა კავშირის შეიარაღება ძალიან გაძლიერდა. ამიტომ გადანყვიტა, მოსკოვთან სერიოზული მოლაპარაკებები მხოლოდ მაშინ წამოეწყო, როცა სათანადოდ მიხედავდა ამერიკის შეიარაღებას, რადგან ამის შემდეგ კომუნისტებთან მოლაპარაკებებში გაცილებით ძლიერი პოზიციები ექნებოდა. მან ორი საინტერესო

ნაბიჯი გადადგა: შეამცირა გადასახადები, მაგრამ ამავე დროს გაზარდა სამხედრო დანახარჯი. შედეგად, ამერიკის სახელმწიფო ბიუჯეტში დიდი დეფიციტი გაჩნდა, მაგრამ პრეზიდენტი ამაზე არ ნერვიულობდა: „დეფიციტი უკვე იმდენად დიდია, რომ საკუთარ თავს მიხედავს“, – ხუმრობდა იგი.

სამაგიეროდ, გადასახადების შემცირებით რეიგანმა ეკონომიკა წაახალისა, თავდაცვის ბიუჯეტის ზრდით კი საბჭოთა კავშირი გამოინვია. რეიგანი არც ისე ნაკითხი ადამიანი იყო, მაგრამ ბევრი ნაკითხისგან განსხვავებით, მან ერთი მარტივი ჭეშმარიტება დაინახა: საბჭოთა ეკონომიკა ამერიკულს ბევრად ჩამორჩებოდა. ამერიკას შეეძლო თავდაცვის ბიუჯეტი მკვეთრად გაეზარდა და შეიარაღებაში საბჭოთა კავშირისათვის გადაესწრო. საბჭოთა კავშირი, რომ არ ჩამორჩენოდა, იძულებული გახდებოდა თავადაც გაეზარდა სამხედრო ბიუჯეტი, მაგრამ მისი ეკონომიკა ასეთ დანოლას ვეღარ გაუძლებდა. უკვე 1981 წელს რეიგანმა საბჭოთა კავშირს პოლონეთში დემოკრატიული მოძრაობის ჩახშობის გამო ეკონომიკური სანქციები დაადო.

მოსკოვში დაბნეულები და შეშინებულები ადევნებდნენ თვალ-ყურს ახალი პრეზიდენტის ნაბიჯებს. იგი საბჭოთა კავშირს ხან ბოროტების იმპერიას უწოდებდა, ხანაც მასზე ხუმრობდა და ხალხს სიცილით კლავდა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ასეთი ანეგდოტი: „საბჭოთა მოქალაქე მანქანის საყიდლად რიგში ჩაენერა. მას ეუბნებიან: მობრძანდით ათ წელიწადში. კი ბატონო, – პასუხობს მოქალაქე, – მაგრამ დილით თუ საღამოს? ათი წლის შემდეგ ამას რა მნიშვნელობა აქვს? – ეკითხებიან მას. იცით, – პასუხობს მოქალაქე, –



ათ წელიწადში დილით სანტეჟნიკოსი უნდა მოვიდეს“.

ერთხელ რადიოინტერვიუში რეიგანმა უეცრად თქვა: „ეს წუთია კანონგარეშედ გამოვაცხადე საბჭოთა კავშირი, დაბომბვას ვინცებთ ხუთ წუთში“. რთული მისახვედრი არ არის, რა რეაქცია მოჰყვებოდა ამას „კანონგარეშედ“ გამოცხადებულ ქვეყანაში.

მთავარი ისაა, რომ რეიგანის სიტყვებს საქმეც მოსდევდა. მან არა მხოლოდ გაზარდა შეიარაღებაზე დანახარჯი, არამედ ასევე დაარტყა საბჭოთა კავშირის შემოსავლის მთავარ წყაროს – ნავთობს. მისი მთავრობა არაბულ სახელმწიფოებს გაურიგდა და დააგდებინა ფასი ნავთობზე, რამაც საბჭოთა ეკონომიკას გამოუსწორებელი დარტყმა მიაყენა. ამას ისიც დაემატა, რომ გადაბერებულ და რეალობას მონყვეტილ საბჭოთა ხელმძღვანელობას თავზარი დასცა რეიგანის ფანტასტიკურმა პროექტმა, ე.წ. ვარსკვლავურმა ომებმა. ეს პროექტი გულისხმობდა ამერიკის მიერ საბჭოთა ბირთვული იარაღის კოსმოსიდან განადგურებას. პროექტზე ბევრი ფული იხარჯებოდა, მაგრამ მას დიდი შედეგი არ მოჰყოლია, გარდა ერთისა – მოსკოვში მისი წარმატების დაიჯერეს და შეეშინდათ.

ამერიკაში კი ამ დროს პირიქით ხდებოდა. მოქალაქეებმა კვლავაც ირწმუნეს საკუთარი ქვეყნის სისტემისა და დემოკრატიის, მათ მომავლის რწმენა დაუბრუნდათ და საბჭოთა კავშირის შიშიც გაუქრათ.

1985 წელს საბჭოთა კავშირს ხელმძღვანელად შედარებით ახალგაზრდა და საღად მოაზროვნე **მიხეილ გორბაჩოვი** მოეწვინა. მან დანიშნისთანავე გაიაზრა, რა სირთულეების წინაშე იდგა მისი ქვეყანა და ვითარებიდან გამოსვლა სცადა. საჭირო იყო ამერიკასთან ურთიერთობების დალაგება და გამალებუ-

რონალდ რეიგანი და მარგარეტ ტეტჩერი



ლი შეიარაღების შეჩერება (რომელსაც საბჭოთა კავშირი უკვე გაკოტრებამდე მიჰყავდა). გორბაჩოვმა ამ მიმართულებით მთელი რიგი ნაბიჯებიც გადადგა, ლიბერალური განცხადებები გააკეთა და დასავლეთში ზოგიერთი პოლიტიკოსის გულიც მოიგო, მაგრამ რეიგანის გულის მოგება ასე ადვილი არ იყო: იგი საბჭოთა კავშირისგან არა მხოლოდ განცხადებას, არამედ საქმესაც მოითხოვდა. გორბაჩოვიც იძულებული იყო დაეთმო. მან აღმოსავლეთ ევროპიდან გაიტანა საბჭოთა ბალისტიკური რაკეტები, ციხეებიდან გაათავისუფლა კომუნისტურ რეჟიმთან მებრძოლი დისიდენტები, შეასუსტა პოლიტიკური კონტროლი, დაუშვა ალტერნატიული აზრი (იქამდე საბჭოთა კავშირში ერთადერთი ჭეშმარიტების წყარო მარქსიზმ-ლენინიზმი იყო). გორბაჩოვი იმედოვნებდა, რომ ამგვარი ქმედებებით საბჭოთა კავშირს გადაარჩენდა, მაგრამ საბოლოოდ პირიქით მოხდა: კომუნიზმი ქვემოთკენ მიექანებოდა, აღმოსავლეთ ევროპას მოსკოვი სულ უფრო და უფრო ძნელად აკონტროლებდა, მალე კი თვითონ საბჭოთა კავშირშიც დაიწყო საპროტესტო გამოსვლები – ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთსა და საქართველოში დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. უკვე რუსეთშიც ხვდებოდნენ, რომ კომუნიზმმა თავისი დრო მოჰყა და არც თავად რუსეთს მოუტანა სიკეთე.



ამერიკული ავიამზიდი „რონალდ რეიგანი“



მსოფლიო ისტორია ალბათ სხვაგვარად წარიმართებოდა, რომ არა რეიგანი, რომელიც პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ხშირად იმეორებდა, რომ ამერიკას არ ჰქონდა მორალური უფლება მიეტოვებინა კომუნისტურ რეჟიმში მცხოვრები ერები.

რეიგანის მეორე საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ სულ მალე, 1989 წელს, აღმოსავლეთ ევროპა საბჭოთა ოკუპაციისა და პოლიტიკური კონტროლისგან გათავისუფლდა, 1991 წელს კი თავად საბჭოთა კავშირიც საბოლოოდ დაინგრა. ცივი ომი დასავლეთის გამარჯვებით დასრულდა დაახლოებით 10 წლის შემდეგ იმ დროიდან, როცა ბევრს ეგონა, რომ ცივ ომში კომუნიზმი იმარჯვებდა.

დღეს რუსეთი საბჭოთა კავშირის აღდგენას ცდილობს. ეს მცდელობა განწირულია, მაგრამ ამას, სამწუხაროდ, ბევრი მსხვერპლიც ახლავს. ამიტომაც ხშირად გაიგონებთ: „ნეტავ რას იზამდა ახლა რეიგანი“, „ახლა რომ რეიგანი ყოფილიყო პრეზიდენტი...“ ალბათ, ბევრი ადამიანი იქნებოდა თანახმა, რომ რეიგანი სამუდამოდ ყოფილიყო ამერიკის პრეზიდენტი.



რეიგანების წყვილი მაიკლ ჯექსონთან ერთად, 1984

